

საგარეო

ქართული
ნიუსი

საერთაშორისო გაზეთი

ოთხშაბათი 17 ნოემბერი 1999 №221 (994)

ფასი 50 თეთრი

ფიფა სფფ-ს საგანგებო კომიტეტს უფლებები აკყარა

ქართულ ფეხბურთში იმდენად აბურდული და აბსურდული ვითარებაა, საქმეს „ჩეკამაც“ (საგანგებო კომიტეტმა) ვერ უშველა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა გუშინწინ სადისციპლინო კომიტეტისგან გამოთხოვილი უფლებები გუშინ აიყარა და „ლოკომოტივი“ — „დინამოს“ საქმე უკანვე დაუბრუნა.

არადა, საგანგებო კომიტეტი სწორედ იმიტომ შეიქმნა, რათა სიტუაციიდან სწრაფი და ობიექტური გამოსავალი ეპოვნა.

მაშ, რა მოხდა? რატომ დაიბანა ხელი საგანგებო კომიტეტმა?

მიზეზი ფიფას რჩევა ყოფილა — ეგ საქმე სადისციპლინო კომიტეტს გადაეცითო, შემოუთვლიათ მსოფლიოს ფეხბურთის მესვეურებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც მათი რჩევისამებრ მოქცეულა.

ნუბზარ ნაპაძე და მერანი ჩემპიონატიდან გარბიან


„მერანის“ პრეზიდენტის თქმით, საქართველოს ჩემპიონატი წინასწარ შედგენილი სცენარით მიმდინარეობს, თუმცა ეს სპექტაკლი ძალიან უნიჭოდ იდგმება. ქართული ფეხბურთის ყურება არც სტადიონზე მიღირს და არც ტელევიზორში



მ. ნაპაძე

„მერანის“ პრეზიდენტის მონოლოგი იხილეთ მეორე გვერდზე

EXCLUSIVE მერაბ ჟორდანიას: არ გინდათ თამაში? არაპირის გაცხადებით!



მ. ჟორდანიას

ქართულ ფეხბურთში ახალი სკანდალი! თბილისის „მერანმა“ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი თქვა. თბილისის „ლოკომოტივმა“ ფეხბურთის ფედერაციას ულტიმატუმი წაუყენა „დინამოსთან“ წაგებული მატჩის გადათამაშებას ითხოვენ რეინიგვლები, სხვა შემთხვევაში, ჩვენც „მერანის“ გზას დავადგებითო, ამბობენ. ფეხბურთის ფედერაციამაც ერთი ამბავია. ახალგაზრდა მწრთელებული პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიას კი ერთბაშად მშვიდადაა. სათქმელსაც პირდაპირ ამბობს. გუშინ კუს ტბაზე. საღამო ხანი. სასიამოვნო სიმყუდროვე, მერაბ ჟორდანიას და „სარბიელი“, მორიგი შეხვედრა, პირველი, მისი სამსახურში გასვლის შემდეგ... ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მომხდარ და მოსალოდნელ სკანდალებზე გვესაუბრება

— ბატონო მერაბ, ტრავმის შემდეგ თავს როგორ გრძობთ?
— არა მიშავს, უკვე ძველებურად ვმუშაობ, ჩვეული რეჟიმით, თუმცა ექიმებმა მითხრეს, კიდევ ერთი ოპერაცია იქნება საჭირო.
— სამწუხარო კია, მაგრამ სამსახურში დაბრუნდით და პირველივე ინტერვიუს თემა მეტად უსიამოვნოა. თბილისის „მერანმა“ ეროვნულ ჩემპიონატში თამაში იუარა.
— მათი გადაწყვეტილება არაპარტებულად მიმაჩნია. ყველაფერი ეჭვის ნიადაგზე მოხდა.
— ეჭვი რა შუაშია?
— „მერანის“ ხელმძღვანელობას რატომღაც ჰგონია, რომ ფედერაცია მათი წინააღმდეგია, თითქოს მსაჯებს ვაგალებდეთ, „მერანს“ ქულები დააკარგვინონ. არაფერი მსგავსი ასეთი ფაქტები ძველად მრავლად იყო, ყველაფერი იმ დროის გამოძახილია, როცა ქართულ ფეხბურთს სხვა ხალხი მართავდა. ბევრ გუნდის ხელმძღვანელს, ფედერაციის მუშაკებსა და მსაჯებს შორის გარკვეულ

გარიგებებს ჰქონდა ადგილი. პოდა, „მერანის“ უფროსებს ახლაც ასე წარმოუდგენიათ. არადა, ჩვენ პირნათელნი ვართ.
ვერაფრით გამიგია, რა პრეტენზია აქვს „მერანს“? რატომ თქვეს უარი თამაშზე. ჩემგან ახლა არაკორექტული იქნება იმის თქმა, თუ როგორ, რით ეზმარებოდა ფედერაცია „მერანს“. მათ თავიანთ გულში ჩაიხელონ. ბევრ ფაქტს გაიხსენებენ.
— იქნებ მაინც თქვათ?
— არა. ხომ ვითხარით, არაკორექტული იქნება. თავად მერანელებს ჰკითხეთ.
— მათ ოფიციალური განცხადება უკვე დაწერეს?
— განცხადება არა, მაგრამ ამ დღით მესტუმრნენ „მერანის“ წარმომადგენლები და თქვეს, ჩემპიონატში აღარ ემონაწილეობთო.
— მერაბ?
— ეს კატასტროფა არ არის. არ სურთ? არც შევეხვეწებით.
— გასაყვით არ იქნება, მერანელები ხვალაც მოვიდნენ ფედერაციაში და აღმოჩნდეს, რომ გადაწყვეტილება შეცვალეს. თქვენ რას უბასუხებთ?

— მე წინააღმდეგი ვიქნები, თუმც საბოლოო გადაწყვეტილება მარტო ჩემი მისაღები არ არის, გენერალური მდივნის, ვიცე-პრეზიდენტის, საშეჯიბრო კომიტეტის უფროსის სიტყვაზეც ბევრია დამოკიდებული. ისე კი, იცოდეთ, წინააღმდეგი ვარ, რომ „მერანი“ ჩემპიონატს დაუბრუნდეს.
— თქვენი აზრით, მხოლოდ ეჭვია იმისი მიზეზი, რომ „მერანი“, ფაქტობრივად, დაიშალა?
— იცით, გადაწყვეტილებას მათ საბაბად ცუდი მსაჯობა დაუდეს. მე კი მგონია, რომ „მერანის“ ხელმძღვანელობას გუნდის შესანახი ფული აღარ აქვს. ფინანსურად გაუჭირდათ. აბა, იმას ხომ ვერ იტყოდნენ, ფული გამოგველიათ. პოდა, მომიხეხეს, ფედერაცია გვემტერება, არა-ობიექტური მსაჯობააო.
— დარწმუნებული ხართ, რომ „მერანი“ ფინანსურ კრიზისშია და ყველაფერი ამის ბრალია?
— მათი ქმედების შემდეგ ასეთი აზრი შემიქმნა.

იხილეთ მეორე გვერდი

საპროგნოზო 12 ტური

სივი ნოვგუბარის ორი სხელი დღე

აპ, დიწყო... დაიწყო მარა, რა დიწყო, რაც ქართული საფეხბურთო ჩემპიონატი არსებობს...

დაიღწეა და ბაღში არაფრით გაეხვია. შესაბამისად, ფრე. უაღრესად პრინციპულ მატჩში „გორდამ“ „იბერას“ გადაუწურა წყალი...

ერთი სიტყვით, ცხელა „ს“ ზონაში, ცხელა „ბ“ ზონაში, მაგრამ ყველაზე მეტად სფეფში ცხელა. რაც შეეხება მეთორმეტე ტურს, იგი ჩატარდა და საკმაოდ საინტერესოდ...

ფოთში „კოლხეთმა“ „მერანს“ მოუგო ხუჭუას პირველ წუთზევე გატანილი ერთადერთი გოლით...



სკანდალი ამით დაიწყო

ამ შეხვედრას სკანდალი მოჰყვა. ახლა ჯერ სფეფა და მის საგანგებო კომიტეტზე „ლოკომოტივის“ ბედს ამ კომიტეტის გადაწყვეტილებაზე ვკვირდებით...

„სიონი“ ყველას და ყველაფერს აცამტკერებს საუკეთესო რვა გუნდში მიმავალ გზაზე. ამჯერად „არსენალთან“ მოიგეს ბოლნისელებმა...

ამაზე გაფრთხილება-გაძევებათა რაოდენობა მეტყველებს — ცხრა ყვითელი და ორი წითელი ბარათი ცოტა ბევრი ხომ არაა ერთი მატჩისთვის?

სიტყვა ბარათებზე ჩამოვარდა და სტადიონებზე იმდენი წითელ-ყვითელი ფრიალებს, მართლა ფოთილიცუნა გვეგონება კაცს...

„ტორპედომ“ თსუ იწვია და მიუხედავად მირზა მერვანის (თსუს მკვარე) თავგამოდებისა, 90-ე წუთზე 3:0 შეუსრულა სტუდენტებს...

არც ისე შორია საუკეთესო ოთხეულად „ს“ ზონაში, ბოლნისელები არა? „სიონისგან“ განსხვავებით, უაღრესად პრინციპულ მატჩში ვერ მოიგო „ვიტ ჯორჯიაში“...

კონსტანტინე გოგივილი

Table with 3 columns: Team, Goals, and other statistics. Header: ზომბარდირები. Rows include 11- აზვეთია, 10- ალქსიკა, 7- მებრძოლპაქი.

«ა» ზონის სივი ნოვგუბარის კონსტანტინე გოგივილის მატჩის პროგნოზი.

თბილისი 13 ნოემბერი 15 საათი. პროგნოზი: 2:000 (ტევადობა 75 000). მატჩი: ლოკომოტივი 1:2 დინამო.

თბილისი 13 ნოემბერი 15 საათი. პროგნოზი: 2 500 (ტევადობა 3 000). მატჩი: არსენალი 0:1 სიონი.

სამგურალი 13 ნოემბერი 15 საათი 26 მინისი. პროგნოზი: 500 (ტევადობა 12 000). მატჩი: სამგურალი 0:0 ბათუმი.

მცხეთა 14 ნოემბერი 15 საათი. პროგნოზი: 1 500 (ტევადობა 3 000). მატჩი: შივ ჯორჯია 1:1 თბილისი.

«ბ» ზონის სივი ნოვგუბარის კონსტანტინე გოგივილის მატჩის პროგნოზი.

შუთისი 13 ნოემბერი 15 საათი. პროგნოზი: 2 000 (ტევადობა 23 800). მატჩი: შორაქალი 3:0 თსუ.

რუსთავი 13 ნოემბერი 15 საათი. პროგნოზი: 500 (ტევადობა 10 700). მატჩი: გორა 4:0 იზირია.

სიმბოლური ნაპრები. დაზიტი სოლოლაშვილი, ახას სილაშვილი, ლევან მილაძე, მირაზ კოსტაშვილი, ვარლამ ქილაშვილი, ახას კვინიანი, ზვიად სორბაშვილი, აბო კარბაძე, არჩილ შაბაძე, ლაშა ფრანგიანი, რომი შაბაძე, მირზა მერვანი.

«ა» ზონის ტურნირის შედეგები. Columns: № მუნდარი, ტ, ვ, ფ, გ, ს, ქ, თ, ვ, ფ, გ, ს, ქ. Rows: 1 დინამო, 2 სიონი, 3 შივ ჯორჯია, 4 ბათუმი, 5 ლოკომოტივი, 6 თბილისი, 7 არსენალი, 8 სამგურალი.

«ბ» ზონის ტურნირის შედეგები. Columns: № მუნდარი, ტ, ვ, ფ, გ, ს, ქ, თ, ვ, ფ, გ, ს, ქ. Rows: 1 შორაქალი, 2 კოლხეთი, 3 დილა, 4 გორა, 5 თსუ, 6 იზირია, 7 მერან, 8 სოზი.

ფოთი 13 ნოემბერი 15 საათი. პროგნოზი: 800 (ტევადობა 6 000). მატჩი: კოლხეთი 1:0 მერან.

ლაგოთი 13 ნოემბერი 15 საათი. პროგნოზი: 100 (ტევადობა 12 000). მატჩი: სოზი 2:3 დილა.

ინგლისი

II ლიგის ზონაში
 უიგანი 3:1 ბორნოში
 მილუოლი 5:0 რაინები
 III ლიგის ზონაში
 სულსი 0:0 ჩალტანეში
 ლიგის თასი. I ეტაპი
 ოქსფორდი 0:1 უიკომბი

ავსტრია

ბადაღაპული მატჩი
 ბრეგენცი 1:1 ლუსტინაუ

საფრანგეთი

ლიგის თასი
 ლორიანი — კრეტეი 1:1 (1:4 პ); სოშო — აიზო 3:0; ნიკა — კანი 1:0; ლილი — რედ სტარი 2:2 (1:4 პ); ბიუვო — ვალანსი 2:2 (5:4 პ); ტულუზი — მარტიგი 1:0; ნიორი — ლავალი 3:2; კენი — ლე მანი 1:2

EURO 2000

ახალგაზრდული ნაბრძნა
 კლვი ოცი. II ფრე
 თურქეთი 1:0 პოლონეთი
 ესპანეთი 4:0 ნორვეგია



ეროვნულ ბიზნისოთ

REUTERS სტეფანოვანი

ოლიმპიურ სტადიონზე

სიღწეში დიდი ანტინარკოტიკული საშიში გამართულა. იქ სხვებთან ერთად ჩასულა თეთრი სახლის ანტინარკოტიკული ოფისის უფროსი ბარი მაკკაფრი. მისტერ მაკკაფრი ისეთი რადიკალი მოდგავე ყოფილა ნარკოტიკის ამბავში, რომ ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეს ჯონ კოუტს უთქვამს, ჩვენთან სტუმრობისას ოლიმპიურ საქმეებში ცხვირი არ ჩაყოს, დობინგთან ბრძოლა მისი საქმე არ არისო. ამის მიუხედავად, მისტერ მაკკაფრი სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე ყოფილ ოლიმპელ დონა დი ვერონასთან (მარჯვნივ) და ავსტრალიის მთავრობის რწმუნებულ პრიუ გოგარდთან ერთად.

REUTERS მარსელიდან



პრეზიდენტი და ბავშვები

ათასწილი რამეებში მონაწილეობა უხდებათ ხოლმე პრეზიდენტებს. ბოლინგე რა, იმასაც უნდა დაეხსნო, თუკი განრივი მოითხოვს. ჰოდა, საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკიც სანავსადგურო ქალაქ მარსელს რომ სწევია ორი დღით, ბავშვთა ბოლინგის შეჯიბრის მთავარი დამჯილდოებელი შექნილა. რა სჯობს ბავშვებთან ლაღობას?

REUTERS ჰონ კონგდან



საფსონე ქალაქები

ჰონკონგში უსაყვარლესი სპორტი დოლია. ამიტომაც, აქაურ ტოტალიტარულ ტერიტორიებში თუკი რამეზე ჩამოდიან ფსონს, დოლზე. პირველ იანვარსაც კი დოლია ამ საოცარ ჰონ კონგში. ჰოდა, სავანგებოდ ახალი ათასწილი დასრულდა იქაურ „ჟოკი კლუბს“ საფსონე ქალაქები გამოუშვია, რომელსაც აგრე მოხდენილად წარმოგვიდგენს სამხრეთაფრიკელი ჟოკი რობერტ ფრენდი. იქვეა ჰონკონგელი მხედარი კალი კეროლი იუ.

ფიდელი, უგო და გეისტოლი

მეხსეული პოლოგონიკი უგო ჩავესი ერთ დროს დიდი მოჯანყე და ტყეში გასული კაცი იყო, მთავრობას ეურჩებოდა. შარშან ისე მოხდა, რომ მთავრობისგან შეწყალებული, ხალხმა ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია. ახლა რაღა უჭირს? აი, საბესბოლო შოუშიც ჩართულა, თანაც ისეთ ალაგას, როგორიც ჰავანაა. კუბაში ვიზიტად მყოფი ჩავესი ერთ რიგით მითამაშედ იქნება 18 ნოემბრის საჩვენებელ შეხვედრაში, ვენესუელისა და კუბის გუნდებს შორის რომ გაიმართება. კუბელთა მწერთველი კი კომანდანტე ფიდელი ყოფილა.



REUTERS პაგანიდან

სარბიელი
 საკორტული გაზეთი
 გამოიცემა 1990 წლის
 28 დეკემბრიდან
 გამოდის სამშაბათს,
 ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
 პარასკევის და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოგნავაძე
 დირექტორი გიორგი მთიურაძე
 რედაქტორი თამაზ მიბრიაძე
 მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია პაპუნაშვილი
 ავტორული ფუნქციონის რედაქტორი სოლომონ გუპიაშვილი
 ქართული ფუნქციონის რედაქტორი სოლომონ გუპიაშვილი
 ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოლომონ გუპიაშვილი
 ტექნიკური რედაქტორი ზურაბ ხელაშვილი
 კალათბურთის განყოფილების გამგე მირაბე რატიშვილი
 ფუნქციონის რედაქტორი. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ვიოლეტი ვაშაძე, ვანო ოქროშიძე; ინფორმაციის რედაქტორი ზაზა ბენიძე, ირაკლი თაყაიძე, გაიოზ თოლაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება ვიოლეტი ვაშაძე, ვანო ოქროშიძე, თამარ კარგიანი, ნინო კუდიანი, ნინო კუდიანი, ნინო კუდიანი; დედა სალვაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფიფიაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
 გამომცემი ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
 თბილისი, ალექსანდრა
 ყაზბეგის ბაზარი 42, II
 კორპუსი, IV სართული.
 საფოსტო მისამართი:
 თბილისი — 79, საფოსტო
 ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
 ელექტრონული ფოსტა
 sarbieli@iberiapac.ge
 ელექტრონული ვებსაიტი
<http://www.opentext.org.ge/sarbieli>